საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11103/01
26/11/2020

11103-01-2-202011261042

**შპს „რეციკლინგს“**
**მის:** ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი №12708 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს ,,რეციკლინგის“ ნარჩენების აღდგენის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის მოცემული ინფორმაცია, ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ. აგრეთვე, სრულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დამუშავების პროცესში გამოყენებული საშუალებების და მოწყობილობების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პალეტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. ამასთან, პროექტში გათვალისწინებული ხის ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზი და გამოყენებული აღდგენის ოპერაცია (R 12) არ შეესაბამება პროექტში მოცემულ აღწერილობით ნაწილს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ნარჩენი ზეთების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშში მოცემული ნარჩენის აღდგენის ოპერაციის კოდი (R 3) არ მოიცავს ნარჩენი ზეთების აღდგენის შესაძლებლობას, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს Henan Doing Mechanical Equipment Co., Ltd-ის ნამუშევარი ზეთების დისტილაციის დანადგარის საპასპორტო მონაცემები;
- გზშ-ის ანგარიშის აღწერილობით ნაწილში (გვ. 44), ალუმინ-პოლიმერის მოსაპირკეთებელი ფილების ნარჩენების (ჩამონაჭრები) გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზის თავში, ალუმინის (კოდი: 17 04 02) აღდგენის კოდად მითითებულია R 12. თუმცა, საწარმოს პროცესის შედეგად დამუშავებული ნარჩენების ძირითადი მახასიათებლების ცხრილებში 4.3.3.1. და 4.1.1. (გვ. 67; გვ.

225) ალუმინის აღდგენის ოპერაციის კოდად მითითებულია R 4. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ანგარიშში მოცემული ტექნოლოგიური პროცესი არ შეესაბამება მითითებულ (R 4) აღდგენის ოპერაციას;

- საქმიანობის მასშტაბის და გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გადასამუშავებელი ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტის შესახებ. გზშ-ის ანგარიში მოიცავს მხოლოდ გადამუშავების პროცესის შედეგად მიღებული ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის განკუთვნილი საცავის ზოგადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას (გვ. 75);
- დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების დამუშავების საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი სხვა ნარჩენების ( ცხრილი 4.3.3.2) ჯამური რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების რაოდენობა და სახეობები სრულყოფილად არ ასახავს პროექტით გათვალისწინებულ გადასამუშავებელი ნარჩენების ნუსხას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების შეგროვების, დასაწყობების და შემდგომი მართვის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში (დანართი 13.6 მონიტორინგის გეგმა) წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების შეფასებისათვის შერჩეული საკონტროლო წერტილების კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიას;
- დაზუსტებას და დეტალიზაციას საჭიროებს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის ბრუნვითი სისტემის გამოყენების საკითხი;
- საწარმოს გენგეგმაზე მითითებული N1 საწარმოო შენობა (ს/კ 01.19.34.002.034) არ შეესაბამება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე გასვლის დროს ვიზუალურად დათვალიერებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდზე შენობა N5). შესაბამისად, დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საწარმოს გენგეგმა; აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს უახლოეს მოსახლემდე მანძილი;

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე